ჯუნუბობისგან განბანვის ფორმა

გადმოცემულია მორწმუნეების დედა მაიმუუნასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: "მე მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დავუდგი წყალი სრული განბანვისთვის და ტანისამოსით დავფარე იგი [უცხო თვალებისგან]. მან ჯერ ხელებზე დაისხა წყალი და დაიბანა ისინი, შემდეგ მარჯვენა ხელით მარცხენაზე დაასხა წყალი და სასქესო ორგანოები დაიბანა. ამის შემდეგ ხელი მიწაზე მიადო და გაწმინდა, შემდეგ კი კვლავ დაიბანა. შემდეგ პირი გამოირეცხა, ცხვირი გაისუფთავა, სახე და იდაყვებამდე ხელები დაიბანა. შემდეგ თავზე და სხეულზე დაასხა წყალი, შემდეგ გვერდზე გადაინაცვლა და ტერფები დაიბანა. მე მას ქსოვილი მივაწოდე, რომ გამშრალიყო, თუმცა მან არ აიღო იგი, წავიდა და წყლის წვეთებს იშორებდა.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედა მაიმუნა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვიამბობს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯუნუბობის შემდეგ დაბანვის წესს: მან წყალი მოუმზადა გასაბანად და ფარდით დაფარა იგი: პირველად: მან დაისხა წყალი ხელებზე და დაიბანა ისინი, სანამ ხელებს ჩაყოფდა ჭურჭელში. მეორედ: მან მარჯვენა ხელით წყალი მარცხენა ხელში გადაასხა და სასქესო ორგანოები დაიბანა, რათა მოეშორებინა ის, რაც სქესობრივი აქტის შედეგად დარჩა. მესამედ: ხელით შეეხო მიწას, მოიწმინდა იგი და შემდეგ დაიბანა ხელი, რათა მოეშორებინა სიბინძურე მისგან. მეოთხედ: გამოიბანა პირი — წყალი პირში შეისხა, გადაატრიალა და გადმოაფურთხა. შემდეგ გაიწმინდა ცხვირი — წყალი ჩაისუნთქა ცხვირით და შემდეგ გამოუშვა, რათა ცხვირი გაეწმინდა. მეხუთედ: დაიბანა სახე და ხელები იდაყვებამდე. მეექვსედ: თავზე დაისხა წყალი. მეშვიდედ: წყალი გადაივლო სხეულის დანარჩენ ნაწილებზე. მერვედ: მან ოდნავ გვერდზე გადაინაცვლა, რის შემდეგაც იმ ადგილას დაიბანა ფეხები, სადაც მანამდე არ იბანდა. შემდეგ მაიმუნამ მას ქსოვილი მიუტანა, რომ გამშრალიყო, თუმცა მან არ აიღო იგი და დაიწყო ხელით სხეულის გამოშრობა, წყლის წვეთების მოშორება და გადაფერთხვა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3310